რა შეიძლება მოხდეს მეორე ტაიმში...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) _ “სპარტაკი” (ერევანი) 7:4 (1:0).

“სპარტაკი”: მათევოსიანი (ზატიკიანი), ბაღდასარიანი (დალაქიანი), მანტარიანი, სემერჯიანი, ბაბაიანი, ვართანიანი, სუპრიკიანი, არუთინიანი, ოვივიანი, ანტონიანი, ბეგლარიანი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია (ჟორდანია), კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი კ. დემჩენკო.

ანგარიში 7:4 საკავშირო ჩემპიონატებში იშვიათი მოვლენაა. მართლაც, პარადოქსალურია, როცა გუნდს გააჩნია უპირატესობა, რომელიც 7 ბურთის გატანით მთავრდება და ამავე დროს “რაღაც” მიზეზების გამო საკუთარ კარში 4 საპასუხო გოლს ღებულობს. მაგრამ ფაქტი ფაქტია: თბილისის დინამოელებმა ერევნელებს შვიდჯერ დააწყებინეს თამაში ცენტრიდან და სამაგიეროდ ეს ერთობ უსიამოვნო პროცედურა თვითონაც ოთხჯერ შეასრულეს ბოლო 45 წუთის მანძილზე.

შეუძლებელია ფორვარდებმა ერთ მატჩში 11 ბურთი გაიტანონ, თუ მათი ძალა საგრძნობლად არ აღემატება მოწინააღმდეგეთა მცველებისას. თბილისის “დინამოსა” და ერევნის “სპარტაკის” მატჩში ეს ასეც იყო, მაგრამ თუ ეს ფორმულა სრული სიზუსტით შეიძლება გამოვიყენოთ “დინამოს” თავდამსხმელთა მიმართ, “სპარტაკის” მიერ მეორე ტაიმში გატანილი 4 გოლი არა მარტო მასპინძელთა დაცვის ბრალი იყო, არამედ მთელი კოლექტივისა.

“ლტოლვილი შვილების” დაბრუნებამ, აგრეთვე ღოღობერიძის გამოჯანმრთელებამ “დინამოს” მწვრთნელებს საშუალება მისცა კვლავ გამოეყვანათ მინდორზე საბრძოლო შემადგენლობა და ამ შემადგენლობამ პირველ ტაიმში აჩვენა თამაში, რომელსაც ყოველგვარი კომპლიმენტის გარეშე შეიძლება უწოდო ბრწყინვალე ფეხბურთი. მინდორზე წარმოებულ ბრძოლას მთლიანად დინამოელები განაგებდნენ როგორც ცენტრალურ ზონაში, ისე ფლანგებზე და “სპარტაკის” საჯარიმო მოედანზე. თბილისელთა მიერ მაქსიმალურ ტემპში წარმოებული კომბინაციები და ტაქტიკური ურთიერთმოქმედება გაცილებით აღემატებოდა ერევნელთა საფეხბურთო ერუდიციას, ხოლო ინდივიდუალურ ტექნიკაში მოწინააღმდეგეთა შედარებაც არ შეიძლებოდა: დინამოელები ერთი თავით მაღლა იდგნენ, ამიტომ ერევნელთა თამაშში სულ უფრო ხშირად იჩენდა თავს ძალისმიერი “მეთოდი”, რომელიც წესებით ნებადართულ მიჯნას სცდებოდა ხოლმე. კერძოდ, საგანგებო “ყურადღებით” იქნა მოსილი მესხი.

ძველებური ანსამბლი შეიკრა მარცხენა ფრთაზე მესხს, ღოღობერიძესა და იამანიძეს შორის. მაღალი ბურთების აბსოლუტურ უმრავლესობას იგებდა კალოევი, რომელიც კარგად ხელმძღვანელობდა შეტევებს, თავისი ჩვეული ზომიერება და ტაქტი შეჰქონდა თამაშში ბარქაიას, მარჯვენა ფრთაზე კი მელაშვილი აშკარად სჯობდა სემერჯიანს. დაცვაში ყველაფერი წესრიგში იყო ჩოხელის მეთაურობით, ხოლო მეკარე კოტრიკაძეს შესვენებამდე საერთოდ არა ჰქონდა საქმე.

ყველაფერმა ამან თავისი ლოგიკური გამოხატულება ჰპოვა ანგარიშში _ 4:0. პირველი სამი ბურთი გაიტანა მესხმა, ხოლო მეოთხე _ მელაშვილმა.

მაგრამ ამ, თითქოს, ყოვლად უპერსპექტივო ტაიმის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერევნელებს თურმე არ დაუკარგავთ იმედი. მათ ბაღდასარიანის ნაცვლად მინდორზე გამოიყვანეს დალაქიანი, ხოლო მესხს “პირად დარაჯად” მიუჩინეს ვართანიანი, თავდასხმაში კი ოვივიანი მოაცილეს ჩოხელს და მინდვრის სიღრმეში დასწიეს თავდასხმის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის. ეს იყო სპარტაკელთა ტაქტიკური მანევრი, მაგრამ ეს იყო ნაწილი მხოლოდ იმისა, რამაც მათ მოუტანა წარმატება მეორე ტაიმში. მთავარი იყო მათი უდიდესი ენერგია, საბრძოლო სული, ბრძოლისუნარიანობა. ერევნელებმა მატჩის მეორე ნახევარი დაიწყეს ისეთი ძალის შტურმით, რომ სრული ქაოსი შეიტანეს მოწინააღმდეგის დაცვაში. დინამოელები ამ პირველ წუთებში ერთგვარი გულგრილობით მოეპყრნენ “სპარტაკის” ამ თავგანწირულ იერიშს, არ გაუწიეს ანგარიში თამაშში მომხდარ ცვლილებებს და სასტიკად დაისაჯნენ. უკვე მე-8 წუთისათვის მარჯვენა შუამარბმა არუთინინმა გაქვითა ორი ბურთი _ 2:4.

ჩვენ საგანგებოდ გავუსვით ხაზი არუთინიანის “საშტატო ადგილს” გუნდში, ვინაიდან მისი ნეიტრალიზება იამანიძის პირდაპირ და უშუალო მოვალეობას შეადგენდა, ამ უკანასკნელმა კი,

დაუფარავად უნდა ითქვას, არ ისურვა აურთინიანთან “საქმის დაჭერა”. ეს მით უფრო შესამჩნევი იყო გუნდისათვის, რომ ღოღობერიძე დაიღალა და იამანიძეს მოაკლდა ურთიერთდაზღვევა მისი მხრივ.

უაღრესად სუსტად ითამაშეს დინამოელთა განაპირა მცველებმა, შეცდომები დაუშვა მეკარე კოტრიკაძემ და “სპარტაკმა” მინდვრის შუაგულში მოპოვებული დიდი უპირატესობა თანდათან დაუახლოვა კარს, რაც ორჯერ გოლით დაამთავრა სუპრიკიანმა.

პირველ ტაიმში ანგარიშით 4:0 მოგებული მატჩის საქმე შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო, რომ “დინამოს” თავდამსხმელებს კვლავ არ ემარჯვათ მოწინააღმდეგე მცველებთან ბრძოლაში. საქმე ისევ მათმა ტექნიკურმა უპირატესობამ გადაწყვიტა და იამანიძემ, მელაშვილმა და მესხმა კიდევ 3 ბურთი გაიტანეს.

ასეთი საოცარი ანგარიშით _ 7:4 მოიგეს თბილისელებმა პირველ წრეში გამოტოვებული მატჩი ერევნის “სპარტაკთან”.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 17 ივლისი, 1960 წ.